

თბილისის შპს სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“  
დირექტორ, ბატონ დავით კახნიაშვილს,  
კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალის  
„ოქროს საწმისის“ საორგანიზაციო კომიტეტისაგან  
26/12/2018

## სამადლობელი წერილი სკოლას

კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“ უკვე წლებია ტარდება თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. პროექტი ხორციელდება თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტისა და აიპ-ის „განათლება ყველა ზღვებს“ ძალისხმევით. პროექტის მხარდამჭერია საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და საქართველოს ეროვნული არქივი. მასში სურვილისამებრ მონაწილეობას ღებულობს საქართველოში არსებული ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლა.

გვინდა მადლობა გადაგიხადოთ, ჩვენს ღონისძიებაში, თქვენი სკოლის II კორპუსის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ქალბატონ ლალი ჭანჭალაიშვილის ხელმძღვანელობით, თქვენი მოსწავლეების აქტიური ჩართულობისათვის. უკვე 6 წელია ქალბატონი ლალი გვახარებს და გვაოცებს თავისი მოსწავლეები სიბეჯითით, ინტელექტით, რიტორიკითა და კრეატიულობით.

მათ სამჯერ მოიპოვეს I, II და III საპრიზო ადგილები აღნიშნული ფესტივალის „ვიქტორინაში“. ბერძნული მითების სამყაროში გამოავლინეს საუკეთესო ცოდნა და დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სერტიფიკატებითა და საჩუქრებით. მოსწავლე ქრისტინე გოცირიძემ დაიმსახურა საუკეთესო მოაზროვნის ტიტული და პირველი ადგილი.

გარდა ამისა, ამავე ფესტივალში ყოველ წელს მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა თემატიკაზე ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. მათი ნაშრომები ყოველთვის იმსახურებს ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების მოწონებასა და უმაღლეს შეფასებას, შესაბამისად, მათი სტატიები განთავსებულია თსუ-ს ფესტივალისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში.

ქალბატონი ლალი დაჯილდოვდა ფესტივალის ნომინაციებში „საუკეთესო პედაგოგისა“ და „ყველაზე კრეატიული პედაგოგის“ ტიტულითა და დიპლომებით. წელს ფესტივალი ჩატარდა მაის-ნოემბერში და მიემდვნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლის იუბილეს.

წელსაც გავგახარა ქალბატონმა ლალიმ და მისმა XI კლასის არაჩვეულებრივმა მოსწავლეებმა: ქეთევან ზივზივაძემ, ანა დგებუაძემ, ლიკა გოცირიძემ და ლიკა ხოხიაშვილმა. პედაგოგი და მათი ნაშრომები დაჯილდოვდა დიპლომებით და დაიბეჭდა თსუ-ს ფესტივალისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით სკოლას, პედაგოგ ლალი ჭანჭალაიშვილსა და აღნიშნულ მოსწავლეებს ფესტივალში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამსახურებული ჯილდოებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

პატივისცემით კულტურულ-საგანმანათლებლო  
ფესტივალის „ოქროს საწმისის“ საორგანიზაციო კომიტეტი.



*Handwritten signature in blue ink.*